

არქეოლოგია

ბაკალავრიატი

1. ანტიკური არქეოლოგია I (Antique Archaeology 1)

კურსის გავლის შედეგად სტუდენტი შეიძენს კომპლექსურ ცოდნასა და დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები ისეთი საკითხების კვლევის სფეროში, როგორებიცაა ანტიკურ სამყაროსთან ძველი ქართული ტომების ადრეული კონტაქტები და ამ ურთიერთობათა განვითარების მატერიალური საფუძვლებია. ამ ხანის ქართველური ტომების განვითარების არქეოლოგიური ფონი უაღრესად რთულია და მრავალკომპონენტური, რაშიც იკვეთება არა მხოლოდ ადგილობრივი განვითარების ტენდენცია, არამედ ის ეგეოსური და მცირეაზიური (რიგ შემთხვევებში კი, აღმოსავლური) იმპულსები, რომლებიც საფუძვლად ედება მომდევნო ხანის მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობებს.

2. ანტიკური არქეოლოგია 2 (Antique Archaeology 2)

კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს სრული ცოდნა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურის შესახებ. გააცნოს კლასიკური ხანის ნივთიერი კულტურა უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლები. აგრეთვე ანტიკური არქეოლოგიის დარგში ჩატარებული ჩატარებული კვლევა ძიების ძირითადი მიღწევები.

3. არქეოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები Archeology and Modern Technology

სალექციო კურსი სტუდენტს აძლევს ცოდნას აღმოჩენების თანამედროვე ტექნოლოგიების სიახლეების დანერგვის საქმეში. ის ემყარება ორი სახის სიახლეს: 1) ტექნიკური მეცნიერების დარგების განვითარება; 2) არქეოლოგიური კვლევების მეთოდების დახვეწა.

4. გლიპტიკა, ტორევტიკა Glyptics, Toreutics

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ხელოვნების დარგების, გლიპტიკისა და ტორევტიკის, არსს, მათი განვითარების ისტორიას, ძირითად ეტაპებს, ხელოვნების ამ ორ

დარგთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ ძეგლებს, მათი ადგილსა და მნიშვნელობას მსოფლიო არქეოლოგიაში. გლიპტიკისა და ტორევიტიკის მასალის გაანალიზება მსოფლიო ისტორიის ჭრილში. იმ თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია გლიპტიკისა და ტორევიტიკის ძეგლების გააზრება.

**5. საქართველოს ისტორიული ხანის არქეოლოგია-1 (ადრეანტიკური და ელინისტური ხანა)
Historical Archaeology - 2 (Early Antiquity and Hellenistic Period)**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ისტორიული ხანის (ძვ. წ. II-I ათასწლეულები) საქართველოს მატერიალურ კულტურას. დიდი ადგილი დაეთმობა საქართველოსა და გარე სამყაროს, კერძოდ კი, ანტიკურ ცივილიზაციასთან არსებული ურთიერთობების შედეგად საქართველოს არქეოლოგიაში დადასტურებული ნივთიერი კულტურის შესწავლას. სტუდენტები გაეცნობიან იმ პრობლემებს, რომლებიც არსებობს მატერიალური კულტურების გენეზისისა და მათი სინკრეტიზაციის საკითხების კვლევის სფეროში.

**6. საქართველოს ისტორიული ხანის არქეოლოგია 2 (რომაული ხანა)
Historical Archaeology 2 (Roman period)**

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს ისტორიული ხანის არქეოლოგიის პრობლემებს. გათვალისწინებულია იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც არსებობს მატერიალური კულტურის გენეზისის ან გავრცელებისა და დეგრადაციის საკითხების კვლევის სფეროში. საზოგადოების აზროვნების განვითარების, მისი ყოფის ყველა მხარეების კვლევისათვის არსებობს მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომლის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ძალზე გართულდება საქართველოსა და გარე სამყაროს პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიისა და კულტურის სრულფასოვანი კვლევა.

**7. საქართველოს ისტორიული ხანის არქეოლოგია III (შუა საუკუნეები).
Historical Archaeology 3 (Middle ages).**

სასწავლო დისციპლინა სტუდენტებს აძლევს ცოდნას შუა საუკუნეების (ახ. წ. IV-XVIII საუკუნეები) საქართველოს მატერიალური კულტურის შესახებ. დიდი ადგილი ეთმობა საქართველოსა და გარე სამყაროს, კერძოდ კი, კავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურებთან ურთიერთობების შედეგად საქართველოს არქეოლოგიაში დადასტურებული ნივთიერი კულტურის შესწავლას. კურსი სტუდენტებს აცნობს საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის, ქრისტიანობის გავრცელებისა და მასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის კვლევის საკითხები.

8. მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია

Archaeology of the Near East

საღიქციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიის ძირითად პრობლემეტიკას, რათა შეძლონ გამოიყენონ ის ფართო კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებმა შექმნეს უძველესი ხანიდან ძვ. წ. II ათასწლ. ჩათვლით. ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ სწორად გაიაზრონ ამ მნიშვნელოვან რეგიონში მიმდინარე კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების არსი, გააანალიზონ ის მოვლენები, რომლებიც ამ რეგიონის ძლიერ ზეგავლენას უკავშირდება ჩრდილოეთის მიმართულებით. სტუდენტები მიიღებენ ანატოლიის, სირია-პალესტინის, ირანისა და მესოპოტამიის აღნიშნულ ეპოქათა არქეოლოგიური ძეგლების შესახებ საფუძვლიან ცოდნას და შეძლებენ ამ მასალებით ოპერირებას სპეციალობაში მუშაობის დროს.

9. პალეოურბანისტული ცენტრები საქართველოში I

Paleo-urban Centers in Georgia I

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეიძენს კომპლექსურ ცოდნას და დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები პირველი ქართული ქალაქების ფორმირებისა და განვითარების მატერიალური საფუძვლებში. სტუდენტი გაეცნობა ძვ.წ. I ათასწლეულში, ქალაქების ფორმირების ხანაში, რეგულარულ საერთაშორისო კონტაქტების დასაწყისს, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა შემდგომი ხანის ურბანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე, საზოგადოდ, მთელ კავკასიაში.

10. პალეოურბანისტული ცენტრები საქართველოში II

Paleo-urban Centers in Georgia II

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეიძენს კომპლექსურ ცოდნას და დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები პირველი ქართული ქალაქების ფორმირებისა და განვითარების მატერიალური საფუძვლებში. გარდა სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის წერილობითი წყაროებისა, არსებობს მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომლის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ძალზე გართულდება ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულისა და I ათასწლეულის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიისა და კულტურის სრულფასოვანი კვლევა. კურსის ფარგლებში სტუდენტები ამ მასალასაც შეისწავლიან.

11. სამუზეუმო საქმე და არქეოლოგიური ფონდები

Museum and Archaeological Funds

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეიძენს ცოდნას სამუზეუმო საქმიანობის სხვადასხვა

სპეციფიკის შესახებ. შეისწავლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მრავალფეროვანი მასალების ორგანიზაციის საკითხებს: მათ სისტემატიზაციას, დაცვას და ექსპონირებას. არქეოლოგიის მუშაობის ეს სფერო ძირითადად ითვალისწინებს მის საქმიანობას მუზეუმში. სტუდენტი შეზღუდულ არტეფაქტების დახარისხებას კომპლექსებად, ფიქსაციას სპეციალურ სამუზეუმო დავთრებში, ინვენტარის ნომრის მიკუთვნებასა და საცავებში დაცვას.

12. საქართველოს პრეისტორიული ხანის არქეოლოგია 1

Prehistorian Archaeology - 1

კურსი სტუდენტებს საფუძვლიანად შეასწავლის საქართველოს ტერიტორიაზე პრეისტორიულ ეპოქაში მიმდინარე პროცესებს, წამყვან არქეოლოგიურ კულტურებსა და მათ ქრესტომათიული ხასიათის ძეგლებს. ქრონოლოგიურად, პრეისტორიული მონაკვეთი, რომელსაც შეისწავლიან სტუდენტები, ფარავს ხანგრძლივ პერიოდს დაწყებული ადამიანის პირველი განსახლებიდან ამ ტერიტორიაზე ვიდრე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. კურსის მიზანია საქართველოს (და კავკასიის) ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილი ქვის ხანის ყველა პერიოდის ძეგლის, მისი აღმოჩენის ისტორიიდან მოკიდებული ქრონოლოგიის, განვითარების დონის, ტიპოლოგიის, ტექნიკური ტრადიციების, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ვითარების მთელი ინფორმაციის დაუფლება.

13. საქართველოს პრეისტორიული ხანის არქეოლოგია (ბრინჯაოს ხანა) – 2

Prehistorian Archaeology – 2

საღეჭიო კურსი ითვალისწინებს, სტუდენტებს მიაწოდოს საფუძვლიანი ცოდნა საქართველოს ტერიტორიაზე პრეისტორიულ ეპოქაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული პროცესების, წამყვანი არქეოლოგიური კულტურებისა და მათი ქრესტომათიული ხასიათის ძეგლების შესახებ. ქრონოლოგიურად, პრეისტორიული მონაკვეთი, რომელსაც შეისწავლიან სტუდენტები, ფარავს ხანგრძლივ პერიოდს _ დაწყებული ხალკოლითის ეპოქიდან ვიდრე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით.

14. საველე არქეოლოგიური პრაქტიკა

Archaeological Field Practice

სასწავლო დისციპლინა ითვალისწინებს არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოებას: დაზვერვები, გათხრები, ლაბორატორიული სამუშაოებიდან მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია წარმოდგენილია საველე და სამუზეუმო საქმიანობის გარეშე. მისი დაუფლებისათვის აუცილებელია კარგი თეორიული მომზადებისა და საველე-პრაქტიკული საქმიანობის ერთობლიობა. თანამედროვე არქეოლოგიური ძიებისა და აღმოჩენების თეორია ემყარება ორი სახის სიახლეს: 1. ტექნიკური მეცნიერების დარგის განვითარება, 2. არქეოლოგიური კვლევების მეთოდების დახვეწა.

15. ზოგადი არქეოლოგია
General Archaeology

სტუდენტები ეცნობიან არქეოლოგიის არსს, მის მიღწევებს, საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს, რომლებიც განაპირობებს საზოგადოებრივ პროგრესს, ქმნის ცივილიზაციათა საფუძველს. კულტურულ-ისტორიული განვითარების განხილვისას საგანგებო ყურადღება ექცევა ჩვენი ქვეყნის ხალხების წვლილს ზოგადსაკაცობრიო კულტურის განვითარებაში. ამავდროულად, სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის მიერ შექმნილი სულიერი და ნივთიერი ღირებულებების ერთიანობას, ანუ კულტურის ფენომენს.

16. ზოგადი ანატომია
General Anatomy

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელ სისტემას, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ადამიანის ჩონჩხის შესწავლაზე. გათვალისწინებულია სხეულის ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების ზოგადი შესწავლა.

17. ანტიკური სამყარო და საქართველო
Antique World and Georgia

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ანტიკურ სამყაროსთან და იბერია-კოლხეთთან დაკავშირებული ისტორიის სფეროში დაგროვილი მასალის გააზრება. სტუდენტი შეისწავლის ანტიკური პერიოდის (იბერია და კოლხეთი) ქართულ კულტურას, ცხოვრების წესს, ისტორიას არქეოლოგიური მასალის შუქზე, რაც სტუდენტებს დაეხმარება უახლეს არტეფაქტებზე დაყრდნობით სხვადასხვა კულტურისა დიალოგის საფუძველზე გაიაზრონ ქართველი ხალხის ადგილი და როლი ანტიკურ სამყაროში.

18. ბიბლიური არქეოლოგია
Biblical Archaeology

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეასწავლიან ბიბლიაში მოხსენიებულ ხალხთა ისტორიას, ყოფა, კულტურას, ცხოვრების წესს. განსაზღვროს ის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ბიბლიურ

სამყაროსთან დაკავშირებული ისტორიის სფეროში დაგროვილი მასალის გააზრება არქეოლოგიური მასალის შუქზე. აღნიშნული კურსი კონკრეტული არტეფაქტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელს ხდის სტუდენტებმა უკეთ გააზრონ სამყაროს წარმოშობასთან დაკავშირებული თეორიები.

19. ეგეოსური სამყაროს არქეოლოგია
Archaeology of the Aegean World

კურსის გულისხმობს არქეოლოგიის მომავალი სპეციალისტებისათვის ამ სფეროში საფუძვლიანი ცოდნის მიცემას წამყვან არქეოლოგიურ კომპლექსთა და ამ რეგიონში მიმდინარე კულტურული პროცესების შესახებ. სტუდენტები ამ კურსის გავლის შემდეგ აითვისებენ არა მხოლოდ ეგეოსური სამყაროს მრავალფეროვან ძეგლებს უძველესი დროიდან გვიან ბრინჯაოს ეპოქის ჩათვლით, არამედ გაეცნობიან მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების დინამიკას ათასწლეულთა რეტროსპექტივაში.

20. გეოლოგია–გეომორფოლოგია
Geology – Geomorphology

კურსი ითვალისწინებს გეოგრაფიის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, გეომორფოლოგიის, სწავლებას. სტუდენტები შეისწავლიან დედამიწის ქერქის (ლითოსფეროს) ზედაპირის თავისებურებას, მისი ფორმირების გზებს და თანამედროვე დინამიკას.

21. მინერალოგია
Mineralogy

საღექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ძვირფასი და სანახელოვო ქვების ფიზიკურ თვისებებს, მორფოლოგიურ თავისებურებებს, გამოსაცნობ ნიშნებს, დამუშავების მეთოდებსა და ხერხებს, წარმოშობის პირობებსა და გამოყენების სფეროებს; დაეუფლებიან ყალბი ქვების ნამდვილი ქვებისაგან განსხვავების მეთოდებსა და ხერხებს; გაერკვევიან ოპალესცენციის, ირიზაციის, ასტერიზმისა და პოლიქროიზმის მოვლენებში.

22. ურუქის ლიტერატურული ტრადიცია

Literal Tradition of City-state Uruk

სტუდენტები შეისწავლიან და დაამუშავებენ სამხრეთ შუამდინარეთის ლიტერატურული ძეგლების, კერძოდ, ქ. ურუქის ლიტერატურული ტრადიციის ორ ძირითად–არათას და გილგამეშის ციკლს. სტუდენტი სემინარებზე თავად წარმოადგენს ძვ.წ. III ათასწლეულის ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ანალიზს დამუშავებული ლიტერატურული ტექსტებისა და შესაბამისი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე.